საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს საზედამხედველო გეგმა

თარგმანი ინგლისურიდან

1. შესავალი

გრანტებზე ზედამხედველობა წარმოადგენს საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ძირითად ფუნქციას. მისი უმთავრესი მიზანია შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გრანტების გეგმის მიხედვით განხორციელების, გამოწვევების და ხარვეზების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირების უზრუნველყოფა.

ეფექტური ზედამხედველობის განხორციელების უზრუნველსაყოფად საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭომ (ქსს) შეიმუშავა წინამდებარე საზედამხედველო გეგმა. გეგმა ემსახურება ზედამხედველობის აქტივობების თანმიმდევრულ, გამჭირვალე და დაკუმენტირებული პროცესის მეშვეობით განხორციელებას. გარდა ამისა, საზედამხედველო გეგმა ხელს უწყობს გრანტების ზედამხედველობის პროცესში დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის ჩართულობას, მათ შორის საბჭოს წევრების, არაწევრების, არასამთავრობო წარმომადგენლობების, შიდსით, ტუბერკულოზით და მალარიით დაავადებული და/ან დაავადებებით დაზარელებული მოსახლეობის ჩართულობას.

2. განსაზღვრებები და საფუძვლები

ზედამხედველობა არის საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ძირითადი ფუნქცია. ზედამხედველობა შედგება კოორდინირებული აქტივობების ნაკრებისგან იმის უზრუნველსაყოფად, რომ გრანტების განხორციელების გამოწვევები და ხარვეზები იდენტიფიცირებულია და მოგვარებულია.
ზედამხედველობა მოითხოვს საბჭოს მხრიდან ძირითადი მიმღებების სტრატეგიულ წინამძღოლობას და თანმიმდევრულ მიდევნებას განმახორციელებელი უწყებების მხრიდან საზედამხედველო რეკომენდაციების და გამოსასწორებელი ზომების შესრულების უზრუნველსაყოფად.

2.1 მოთხოვნები ქსს-მის მიმართ

2011 წლის 11 მაისის[1] ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოებისადმი გლობალური ფონდის სახლემძღვანელოების და მოთხოვნების თანახმად „ ქსს-ს მიერ გლობალური ფონდის დაფინანსების მიღების თანავე მისი უმთავრესი ფუნქციაა ზედამხედველობის განხორციელება. ქსს აწარმოებს ძირითადი მიმღების საქმიანობაზე ზედამხედველობას პროგრამების შეთანხმებული სამიზნეების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით. ქსს-ს საზედამხედველო ფუნქციის მეშვეობით ძირითადი მიმღები აწარმოებს ანგარიშგებაბს ქვეყნის ყველა დაინტერსებული მხარის მიმართ“

გარდა ამისა, მოთხოვნა #3-ს თანახმად სავალდებულოა„ წარედგინოს და განხორციელდეს საზედამხედველო გეგმა გლობალური ფონდის მიერ დამტკიცებული ყველა დაფინანსებისათვის. გეგმაში დაწვრილებით უნდა იქნას განსაზღვრული კონკრეტული საზედამხედველო საქმიანობები, დაინტერესებული მხარეების, მათ შორის წევრების და არაწევრების, განსაკუთრებით კი არასამთავრობო წარმომადგენლობების , დაავადებულ პირების და/ან დაავადებით დაზარალებული პირების ჩართულობას ზედამხედველობის ფუნქციებში“.

2.2 ძირითადი მიმღების მანდატი

გლობალური ფონდის საგრანტო ხელშეკრულება შეიცავს რამდენიმე მუხლს, რომელიც ანიჭებს ძირითად მიმღებს ქსს-ს საზედამხედველო პროცესში მონაწილების მანდატს:

- **ძირითადი მიმღები ახორციელებს პროგრამებს ქსს-ს სახელით (მუხლი 28).** ქსს ახორციელებს გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამების ზედამხედველობას (მუხლი 7a).
- **ხელშეკრულება ავალდებულებს ძირითად მიმღებს ითანამშრომლოს ქსს-სთან,** იყოს ხელმისაწვდომი ქსს-სთან რეგულარული შეხვედრებისათვის გეგმების განსახილველად, ინფორმაციის გასაზიარებლად, პროგრამულ საკითხებზე კომუნიკაციისათვის და მიაწოდოს ქსს-ს პროგრამული ანგარიშები და ინფორმაცია მოთხოვნის საფუძველზე (მუხლი 7b).
- **ხელშეკრულება ავალდებულებს ძირითად მიმღებს** მიაწოდოს საბჭოს გლობალურ ფონდში წარდგენილი პერიოდული ანგარიშების ასლები (მუხლი 15) და გლობალურ ფონდის სამდივნოში გაგზავნილი შეტყობინებების, მოთხოვნების, დოკუმენტების,

[1] *Guidelines and Requirements for Country Coordinating Mechanisms* (May 2011). დოკუმენტი ხელმსიაწვდომია: http://www.theglobalfund.org/en/ccm/guidelines/ ან შეიძლება მოძიებულ იქნას გლობალური ფონდის ვებ-გვერდზე „ძიების“ ფანჯრის მეშვეობით

ანგარიშების ან კომუნიკაციის გაცვლის სხვა მასალის ასლები (მუხლი 25) .

3. გრანტებზე ზედამხედველობის პრინციპები

საზედამხედველო გეგმის ჩარჩო დაფუძნებულია ზედამხედველობის რამდენიმე პრონციპზე.

3.1 ქვეყნის ინტერესი

როგორც მითითებულია გლობალური ფონდის სახელმძღვანელოში ქსს-ს ზედამხედველობის შესახებ „ ზედამხედველობის ძირეული პრინციპია - ყველა რესურსის - ფინანსურის და ადამიანურის - ქვეყნის სასარგებლოდ ეფეტურად და ეფქტიანად გამოყენების უზრუნველყოფა“[2] . გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ქსს არის კონსენსუსზე დამყარებული გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ერთიანი ორგანო, მას გააჩნია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება განახორციელოს ქვეყანაში მოქმედი გლობალური ფონდის ყველა გრანტის ზედამხედველობა.

3.2 გრანტებზე ზედამხედველობის განსხვავება მონიტორნგსა და შეფასებისაგან

ზედამხედველობის ფოკუსია გრანტების განხორციელების „ფართომასშტაბიანი სურათი“. ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელებისას ქსს ამოწმებს გრანტებს ურთიერთგადამკვეთი საკითხების გამოსავლენად, და ფოკუსირდება გრანტების განხორციელების მსხვილი პრობლემების მოგვარებაზე. ამის საპირისპიროდ, მონიტორინიგის და შეფასების აქტივობები ფოკუსირებულია პროგრამის განხორციელების დეტალებზე და წარმოადგენს ძირითადი მიმღების და სხვა განმახორციელებელი უწყებების შესაბამის პასუხისმგებლობას.

[2] *Guidance Paper on CCM Oversight*. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: www.theglobalfund.org/documents/ccm/GuidancePaperOnCCMOversight.pdf ან შეიძლება მოძიებულ იქნას გლობალური ფონდის ვებ-გვერდზე „ძიების“ ფანჯრის მეშვეობით .

3.3 კრიტიკულ სფეროებსა და კითხვებზე ფოკუსი

ზედამხედველობა როგორც წესი ფოკუსირებულია რამდენიმე სფეროზე და შეკითხვაზე, რომელბის ძირეულია გრანტების ეფექტური განხორციელებისათვის:

- **ფინანსები:** სად არის თანხები? თუ მოხდა მათი გადარიცხვა და დახარჯვა გეგმის მიხედვით?
- **შესყიდვები:** სად არის წამლები, სამედიცინო მასალები და მოწყობილობა?
- **განხორციელება:** თუ მიმდინარეობს აქტივობები გრაფიკის მიხედვით? თუ მიმდინარეობს გრანტები გეგმის მიხედვით? თუ არსებობს განხორციელების დაბრკოლებები (მაგ. შესყიდვებში ან ადამიანურ რესურსებში) ?
- **შედეგები?** თუ არის მიღწეული სამიზნეები? თუ მიეწოდება სერვისები იმ ადამიანებს, ვისაც ისინი ესაჭიროებათ?
- **ანგარიშგება**: თუ ხდება ანგარიშების მიწოდება ზუსტად, სრულად და დროულად?
- **ტექნიკურ დახმარება:** რა ტექნიკური დახმარება არის საჭირო პრობლემების მოსაგვარებლად და შესაძლებობების გასაძლიერებლად? რა არის ტექნიკური დახმარების გამოსავალი?

- **3.4 დროის ციკლური ჩარჩო**

ზედამხედველობა თანხვედრაშია ანგარიშგების ციკლებთან ძირითადი მიმღების როგორც პროგრამის მენეჯერის, სამუშო გეგმის დროულად შესრულების და კვარტალურ და წლიურ სამიზნეებთან ტექნიკური შედეგების თანხვედრის შესამოწმებლად.

3.5 ფოკუსი გრანტის განხორციელებაზე

გლობალურ ფონდის საზედამხედველო სახელმძღვანელოების თანახმად ზედამხედველბა მოიცავს პერიოდს დაწყებული ქვეყნის განაცხადის მზადებიდან და დამთავრებული გრანტის განხორციელების შემდეგ მისი დახურვისა. ამ პრიოდში შედის განაცხადის მომზადება, საგრანტო მოლაპარაკებები, მე-2 ფაზის განხილვა და განახლება და გრანტების დახურვის პროცესი[3]. თუმცა, ზედამხედველობის აქტივობების უმეტესი

[3] *Guidance Paper on CCM Oversight*. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: www.theglobalfund.org/documents/ccm/GuidancePaperOnCCMOversight.pdf ან შეიძლება მოძიებულ იქნას გლობალური ფონდის ვებ-გვერდზე „ძიების“ ფანჯრის მეშვეობით

ნაწილი ფოკუსირებულია გრანტის განხორციელებაზე მათი ეფექტურად, ეფექტიანად და ქვეყნის ინტერესების დაცვით გამხორციელების უზრუნველსაყოფად.

3.6. სათანადო მმართველობის პრინციპების დაცვა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

ისევე როგორც ქსს-ს ნებისმიერი სხვა აქტივობა და ფუნქცია ზედამხედველობა ხორციელდება გლობალური ფონდის მოთხოვნის დაცვით, რომელიც ავალდებულებს ქსს-ს მოახდინოს წევრებსა და წარმომადგენლობებს შორის რეალური და სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის მართვა. გრანტების ზედამხედველობის განხორციელებისას ქსს-მ და საზედამხედველო კომიტეტმა (კომიტეტებმა) უნდა მოთხოვონ წევრებს განაცხადონ ინტერესთა კონფლიქტის ნებისმიერი შემთხვევის შესახებ, როემლიც ეხება უშუალოთ მათ ან სხვა წევრებს და მოახდინონ იმის უზრუნველყოფა, რომ ეს წევრები არ ღებულობენ მონაწილეობას საზედამხდველო საქმიანობასთან დაკავშირებული განხილვებსა და გადაწყვეტილებების მიღებაში. აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე ძირითადი მიმღები, ქვე-კონტრაქტორები, ქვე-ქვე-კონტრაქტორები არ შეიძლება წევრების სტატუსით ჩართული იყვნენ ქსს-ს ნებისმიერი საზედამხედველო ორგანოს საქმიანობაში.

4. ქსს-ს საზედამხდველო პასუხისმგებლობები

ეს ნაწილი აღწერს ქსს-ს გრანტების ზედამხედველობასთან დაკავშირებულ საზედამხედველო პასუხისმგებლობებს. თუმცა ეს პასუხისმგებლობები რელევანტურია ქსს-ს ზედამხედველობის სხვა სფეროებთან მიმართებაშიც, როგორიცაა განაცხადის შემუშავება, საგრანტო მოლაპარაკებები, მე-2 ფაზის განხილვა და განახლება და გრანტის დახურვა.
ქსს-ს გრანტების განხორციელებაზე ზედამხედველობის პასუხისმგებლობები შედგება ოთხი თანმიმდევრული ნაბიჯისგან, რომლების მეორდება ყველა ციკლში:



4.1 ინფორმაციის შეგროვება

ინფორმაციის შეგროვება ყველა საზედამხედველო აქტოვობების ქვაკუთხედია, რადგანაც ქსს-ს არ შეუძლია მოქმედება თუ მას არ აქვს სათანადო ინფორმაცია განხორციელების მწვავე საკითხებზე, პრობლემებზე და წინააღმდეგობებზე. ისევე როგორც ზედამხედველობის სხვა აქტივობების განხორციელებისას, ინფორმაციის შეგროვება ხდება საზედამხედველო კომიტეტის მიერ, თუმცა შეიძლება სამდივნოს მხრიდან ჩართულობა და მს მიერ საკითხის კოორდინირება.

ქსს-ს გრანტების ზედამხედველობის გლობალური ფონდის სახელმძღვანელოს თანახმად (ნაწილი 34) ინფორმაციის შეგროვება შეიძლება შეიცავდეს განხორციელების შესახებ ანგარიშის და გადარიცხვის მოთხოვნების (Progress Update and Disbursement Request) ფორმების მიმოხილვას, სერვისის მიმწოდებელ ერთეულებში პერიოდულ ვიზიტებს, ქსს-ს წევრებიდან მიღებულ საპასუხო ინფორმაციას (მათ შორის დაავადებული პირებისგან). ზედამხედველობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. ქვემოთ ნაწილი 6 „ინფორმაცია გრანტებზე ზედამხედველობსათვის“ .

4.2 ინფორმაციის ანალიზი

ხდება შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი ქსს-ს საყურადღებოდ წარმატებების, გამოწვევების, პრობელემების, წინააღმდეგობების იდენტიფიცირებისათვის.ინფორმაციის ანალიზი არის კრიტიკული ნაბიჯი, რომელიც მოითხოვს საზედამხედველო კომიტეტის კონცენტრირებულ ყურადღებას და ფინანსური, პროგრამული მენეჯერული და შესყიდვების შესახებ ინფორმაციის ინტეგრირებულ ანალიზს. შედეგად ვღებულობთ ძირფესვეულ გააზრებას მწვავე საკითხების და წინააღნდეგოგების შესახებ. შედეგებში შეიძლება შედიოდეს ქსს-ს გადაწყვეტილებებისათვის ოპფიები და რეკომენდაციები.

ზედამხედველობის ამ კომპონენტი განხორციელეებისას კომიტეტის შესაძლოა დასჭირდეს ქსს-ს მიერ მოძიებული გარე ტექნიკური დახმარება.

4.3 ქმედებების განხორციელება

როგორც კი ხდება პრობლემების, მწვავე საკითხების და წინააწმდეგობების ინდენტფიცირება და გააზრება ქსს მიმართავს მათი მოგვარებისკენ მიმართულ ქმედებებს. მომდევნო ქმედებები შეიძლება შეიცავდეს შემდეგს:

- ძირითადი მიმღების მიერ პროგრამის უფრო ეფექტურად და ეფექტიანად განსახორციელებლად განხორციელებული ქმედებები;
- საზედემხედველო კომიტეტის ან სამდივნოს მერ საკითხის შესწავლის და გადარის ქმედებების და შედეგის დოკუმენტირება;
- პრობლემის გადაჭრისათვის დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობების მქონე გადაწყვეტილებების მიმღებებთან დაკავშირებული ქსს-ს წევრების მიერ განხორციელებული ქმედებები;
- საჭიროების შემთხვევაში გარე ტექნიკური დახმარების შედეგად განხორციელებული ქმედებები;
- ქსს-ს მითითებით საკითხის შესასწავლად ადგილზე განხორციელებული ვიზიტები.

ქსს-ს საველე ვიზიტები ხორციელდება საჭიროებიდან გამომდინარე და მათ გააჩნიათ სპეციფიური ამოცანები.

ქსს- გადაწყვეტილების მიღებისას აკონკრეტებს განსახორციელებელ ქმედებებს, პასუხისმგებელ პირს ან უწყებას და ქმედების განხორციელების საბოლოო ვადას.

4.4 ანგარიშგება შედეგების შესახებ

საზედამხედველო ანგარიშები მიეწოდება ქსს-ს ყოველი პლენარული სხდომის წინ. სხდომის მსვლელობისას საზედამხედველო კომიტეტი წარუდგენს ქსს-ს მიგნებებს და რეკომენდაციებს. უნა ხდებოდეს მომდევნო მიდევნება ქსს-ს გადაწყვეტილებებისა, რომლებიც წარდმოადგენენ მომდევნო ქმედებების და აქტოვობების საფუძველს. ანაგრშგების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. ქვემოთ, ნაწილი 7 „პროგრამის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა და ანგარიშგება“.

5. საზწდამხედველო კომიტეტის როლი

მიუხედევად იმისა, რომ გრანტებზე ზედამხედველობა წარმოადგენს მთელი ქსს-ს პასუხისმგებლობას და ყველა წევრს შეუძლია ზედამხედველობის განხორციელება, არ არის რეალისტურ მთელმა ქსს-მ მუდმივად აწარმოოს ზედამხედველობითი აქტოვობები. ამრიგად, ქსს აყალიბებს საზედამხედველო კომიტეტს ქსს-ს სახელით გლობალური ფონდის გრანტებზე ზედახედველობის დაგეგმარების, კოორდინირების და განხორციელების მიზნით.

საზედამხედველო კომიტეტის როლი მდგმორეობს ქსს-ს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ფასილიტაცია ქვემოთ მოცემული სფეროების შესახებ რეპორტირების, სადისკუსიოთ და გადაწყვეტილებების მისაღებად რეკომენდაციების გაცემის გზით. კომიტეტი არ არის გადაწყვეტილებების მიღების ან ქსს-ს ალტერნატიული ორგანო.

საზედამხეველო კომიტეტის შექმნა არ უზღუდავს ქსს-ს განმახორციელებელ ერთეულებში ვიზიტების შესაძლებლობას. გლობალური ფონდის სახელმძღვანელოებში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მისასალმებელია საბჭოს წევრების მიერ ვიზიტების განხორციელება. აღნიშნულის ფასილტაცია შეიძლება მოახდინოს საზედამხედველო კომიტეტმა ან ქსს-ს სამდივნომ.

5.1 საზედამხედველო კომიტეტის პასუხისმგებლობები

ქსს-ს საზედამხდველო კომიტეტი პასუხისმგებელია ქვეყანაში მიმდინარე გლობალური ფონდის გრანტების ზედამხედველობაზე შემდეგ სფეროებში:

- **ფინანსური**: გლობალური ფონდიდან მიღებული დაფინანსების შესაბამისი, დროული და ეფეტური გამოყენების უზრუნველყოფა;
- **პროგრამული:** ძირითადი მიმღებს და ქვე-კინტრაქტორების სამუშაო გეგმების დროული და ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფა, რაც შეიცავს მოკლევადიან და მოცემულ პერიოდებში დასახული შედეგების განხორციელებას;
- **შესყიდვები:** გამჭვირვალე, კონკურენციაზე დაფუძნებული და ეფექტური შესყიდვების და მარაგების მართვის უზრუნველყოფა ხარისხის მოთხოვნებსა და სახელმწოფო კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

მენეჯმენტი: გრანტების მანეჯმენტი ყველა სფეროში (მათ შორის ფინანსური, პროგრამული და შესყიდვების სფეროები), მათ შორის

გლობალური ფონდის ქმედებების და პირობების (მაგ. წინაპირობების და დროში გაწერილი ქმედებების).

საზედამხედველო კომიტეტის კომპეტენციის სფეროები მოცემულია დანართში 3.

5.2 საზედამხედევლო კომიტეტის მხარდაჭერა სამდივნოს მხრიდან

სამდივნო თანამშრომლობს საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარესთან და წევრებთან კომიტეტისათვის საზედამხედველო აქტივობების განსახორციელებლად ადმინისტრაციული მხარდაჭერის დონის და სახეობის განსასაზღვრად. აღნიშნული მხარდაჭერა შეიძლება შეიცავდეს მაგალითად განხორციელების ადგილზე და საველე ვიზიტების ლოგისტიკურ დახმარებას; ძირითად მიმღებთან და ქვე-კონტრაქტორებთან კომუნიკაციას; მონაცემების შეგროვებას; შეხვედრებისათვის მზადებას და მათ ორგანიზებას, მათ შორის საჭირო დოკუმენტების გავრცელებას; შეხვედრების ოქმების და კომიტეტის ანგარიშების მომზადებას.

6. ინფორმაცია გრანტების ზედამხედველობისათვის

ინფორმაცია წარმოადგენს ქსს-ს ზედამხედველობის განხორციელების საფუძველს. ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია მწვავე საკითხების, წინააღმდეგობების იდენტიფიცირება და იმ ძირითადი პრობლემების მოგვარება, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შუქმნას გრანტების შესრულებას. გრანტებზე ზედამხედველობისათვის საჭიროა რამდენიმე ძირითადი სახეობის ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან.

6.1 ინფორმაციის სახეობები

ზედამხედველობის განხორციელებისათვის საჭიროა მიმდინარე ინფორმაცია ხუთი ძირითადი სფეროდან:

- **ფინანსების გამოყენება: მათ შორის** ძირითადი მიმღების მიერ მიღებული თანხები და პროგრამის დანახარჯები (დაბიუჯეტებული ფაქტობრივთან დადარებით) როგორც ძირითადი მიმღების ასევე ქვე-კონტრაქტორების;
- **წამლების და სამედიცინო მასალების მიწოდება,** მათ შორის მედიკამენტების და მასალების დაგროვება და დახარჯვა, მედიკამენტების და სამედიცინო მასალის მარაგი, შეკვეთების და მოწოდების განრიგი, და ქვეკონტრაქტორებთან და ქვე-ქვე-კონტრაქტორებთან მიწოდების განრიგი.

- **პროგრამის აქტივობების დროული განხოციელება,** მათ შორის გრანტის სამუშაო გეგმის მიხედვით და მათი დაფინანსება გრანტის ამოცანების მიხედვით (დაბიუჯეტებული ფაქტობრივთან დადარებით);
- **ძირითადი პროგრამული ინდიკატორების განხორციელება,** მათ შორის გრანტების ამოცანების შესრულების ძირითადი ინდიკატორების სტატუსი (რაც მოიცავს ზეგავლენას, შედეგს და მოცვას);
- **ძირითადი მიმღების მიერ განხორციელებული გრანტის მენეჯმენტის ეფექტურობა,** მათ შორის ძირითადი მიმღების საკვანძო მენეჯერულ პოზიციების შევსების სტატუსი, ქვე-კონტრაქტორებისათვის აღმოჩენლი ტექნიკური დახმარებს სტატუსი, „ძირითადი მიმღები-ქვე-კონტრაქტორი“ - ყურადღება მწვავე საკითხბისადმი; გლობალური ფონდის მიე წამოყენებული წინაპირობების და დრში გაწერილი ქმედებების სტატუსი.

ჩამოთვლი სფეროებში პროგრამის განხორციელების სტატუსის შესახებ დამატებითი განმარტებების საწიროების შემთხვევაში ქსს-მ შეიძლემა მოთხოვოს ძირითად მიმღებს დამატებითი ინფორმაციის მოწოდება.

6.2 საზედამხედველო ინფორმაციის წყაროები

ქსს და საზედამხედველო კომიტეტი იღებს ინფორმაციას შემდეგი ძირითადი წყაროებიდან:

- **ძირითადი მიმღების ანგარიშები და არსებული მონაცემები,** მათ შორის განხორციელების პროგრესი და გადარიცხვის მოთხოვნები, შესრულების კვარტალური ანგარიშები, პროგრამის სამუშაო გეგმა და ბიუჯეტი, მონიტორინგის და შეფასების გეგმები, ძირითადი მიმღების წლიური აუდიტის შედეგები, და წლიური (ან გაფართოვებული) ფინანსური ანაგრიშები;

- **გლობალური ფონდის ანგარიშები და წყაროები,** მათ შორის შესრულების ანგარიშები, გრანტების ქულების ცხრილი, გლობალური ფონდის მენეჯერული წერილები და გლობალური ფონდის სამდივნოსთან სხვა კორესპონდენცია და [*ქვეყნის*] გრანტებზე პასუხისმგებელი გლობალური ფონდის პორტფოლიო მენეჯერის კომენტარები;

- **ქსს-ს მიერ მიღებული ანგარიშები,** მათ შორის პერიოდულად განხორციელებული ბენეფიციარების და სხვა დაინტერესებული

მხარეების გამოკითხვები ზედამხედველობის აქტივობების, განაცხადის შემუშავების და/ან აქტივობების ჰარმონიზაციის თვალსაზრისით.

- **საველე საზედამხედველო ვიზიტები ,** რომლებიც ხორციელდება ქსს-სთვის ადგილზე პროგრამების განხორციელების საერთო წარმოდგენის შექმნის მიზნთ და არა პროგრამული მიღწევების და გამოწვევების დეტალური გააზრებისათვის. საჭიროების შემთხვევაში, არაწევრებს და დაავადებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ამ ვიზიტებში. საზედამხედველო ვიზიტების გზამკვლევი და ინსტრუმენტები იხილეთ დანართებში 1 და 2.

- **სპეციფიური საკითხების შესწავლა,** როგორც წესი ხდება ძირითადი მიმღების და ქვეკონტრაქტორების ანგარშებით [საზედამხედველო კომიტეტის] მიმართ ან ადგილზე ვიზიტების მეშვეობით. თუმცა ქსს-მ შეიძლება ამჯობინოს მისცეს უფლებამოსილება ტექნიკურ ექსპერტს შეისწავლოს პრობლემა და გაუზიაროს ქსს-ს მიგნებები.

- გლობალური ფონდის გრანტებზე ზედამხედველობის სახელმძღვანელოს მიხედვით **დაავადებული პირებისგან მიღებული უკუკავშირი (ნაწილი 34).**

7. პროგრამის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა და ანგარიშგება

7.1 პროგრამის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა

ქსს-სთვის გლობალური ფონდის სახელმძღვანელოს მიხედვით (იხ. შენიშვნა 1) საზედამხედველო კომიტეტი და ქსს შეიმუშავებს სტრატეგიებს და მიდგომებს პროგრამის დაინტერესებული მხარეების ჩართვის მიზნით (მათ შორის ქსს-ს წევრები და არა-წევრები), არასამთავრობო წარმომადგენლობები, დაავადებული პირები და/ან დაავადებით დაზარალებული ჯგუფები.

გარდა ამისა, საზედამხედველო კომიტეტი წლიურ საზედამხედველო გეგმაში გაწერს აქტივობებს და ანგარიშგების მექანიზმს იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზედახედველო მიგნებები გაზიარებულია პროგრამის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის არასამთავრობო წარმომადგენლობები, დაავადებული პირები და/ან დაავადებით

დაზარალებული ჯგუფები.

7.2 ქსს-სთან ანგარიშგება

საზედამხედველო კომიტეტი წარმოადგენს მისი აქტივობების შედეგებს გლობალური ფონდის გრანტების განხორციელების სტატუსის შესახებ პერიოდული წერილობითი ანგარიშების სახით. ანაგრიშები შეიცავს კომიტეტის დასკვნებს, რეკომენდაციებს და ყოველი პერიოდის ქმედებებს.

ანგარიშები მზადდება საზედამხედველო კომიტეტის მიერ და წარედგინება ქსს-ს პლენარულ სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული ანგარიშების წარდგენა ხდება საჭიროების მიხედვით თუმცა სულ მცირე კვარტალურად. ეს ანგარიშები შეყვანილია ან დანართის სახით ახლავს სხდომის ოქმებს და ინახება როგორც ქსს-ს არქივის ნაწილი.

დანართი 1

ქსს-ს გზამკვლევი: საზედამხედველო ვიზიტები ძირითად მიმღებთან, ქვე-კონტრაქტორებთან, ქვე-ქვე-ონტრაქტორებტან და სერვისის მიმწოდებელ ერთეულებში.

ადგილზე ვიზიტის (საიტზე ვიზიტების) მიზანი

ადგილზე ვიზიტი არ ხორციელდება ყოველდღიური მენეჯერული საკითხებზე რეაგირებისათვის (ძირითადი მიმღების როლი, იხ. ნაწილი 3.2) ან რეგულარული ანგარიშების აუდიტისათვის (ადგილობრივი ფინანსური აგენტის როლი). ამის საპირისპიროდ, ქსს-ს ადგილზე ვიზიტებს გააჩნიათ ხუთი ძირითადი ამოცანა:

- დადასტურება, იმისა, რომ მიმდინარე აქტივობები მიმდინარეობს გრანტის და სამუშაო გეგმის მიხედვით;
- სერვისის ხარისხის, აქტივობების მიმწოდებლებსა და კლიენტებს შორის კომუნიკაციისა და დაავადებებთან დაკავშირებული სტიგმის დონის შესახებ შთაბეჭდილების შექმნა;
- მედიკამენტებისა და ფარმაცევტული ნაწარმის მარაგის და ბოლო გადარიცხვის სტატუსზე დაკვირვების წარმოება;
- შტატისათვის, კლიენტებისათვის, თემებისათვის ხელმძღვანელობის მხრიდან ინტერესის ცხადყოფა პროგრამების შესახებ მათი მოსაზრებების შეგროვების გზით, რაც ხელს უწყობს ავტორიტეტისა და ნდობის გაღრმავებას.

ადგილზე ვიზიტების გზამკვლევი

- **მწვავე საკითხებზე დაფუძნებული ვიზიტები.** ვიზიტები ხორციელდება საბჭოს სხდომის შემდეგ, საზედამხედველო ანგარიშების (განსაკუთრებით „დეშბორდი“) მეშვეობით მწვავე საკითხების იდენტიფიცრების შემდგეს საბჭოს გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის. ამგვარი, პრობლემაზე დაფუძნებულ ვიზიტების მიზნებია:
  - საზედამხედველო ანგარიშებიდან აღმოცენებული პრობლემური საკითხების შესწავლა
  - მწვავე საკითხების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება ქსს-სათვის სწორი გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით
  - ქსს-ს გადაწყვეტილებების მიდევნება

- **არაფორმალური ვიზიტები განხორციელების საიტებზე. მიუხედავად იმისა, რომ როგორც წესი ვიზიტები ხორციელდება როგორც ერთ მიზანზე დაფუძნებლი ოფიციალური ვიზიტები, შესაძლოა მათ მიეცეს არაფორმალური ვიზიტების სახე, რომლებიც ხორციელდება არსებული მონიტორნგის სისტემის გამოყენებით.** მაგალითად, ძირითად მიმღებს შეუძლია რეგულარულ საველე ვიზიტებში საბჭოს რომელიმე წევრების ჩართვა. ამის მსგავსად, თუ ქსს-ს წევრი ახორციელებს ვიზიტს რომელიმე რეგიონში გრანტის აქტივობიდან ან სხვა მიზეზიდან გამომდინარე, მას შეუძლია ქსს-ს წევრის სტატუსით განახორციელოს ვიზიტი ადგილზე. არაფორმალური ვიზიტების ძირითადი მიზანია ქსს-ს წევრების უფრო მეტი გათვითცნობიერება გრანტების შესახებ. მსგავსად ოფიციალური ვიზიტებისა, არაფორმალური ვიზიტების დაგეგმარებაც ხდება ადგილზე შტატის ჩართულობით, მოულოდნელი ვიზიტების და გრანტების განხორციელების დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად.

- **ლოჯისტიკა.** ვიზიტები საიტზე შეძლება განხორციელდეს ძირითადი მიმღების ან ქვე-კონტრაქტორის ოფისში, ან პროექტის განხორციელების ადგილზე. შეზღუდეთ ვიზიტებში მონაწილე ადამიანების რაოდენობა ოთხ მონაწილემდე, ქსს-ს წევრების, ძირითადი მიმღების წარმომადგენლების და დამკვირვებლების ჩათვლით.

- **დედაქალაქის გარეთ მდებარე დაავადებულ პირთა ან დაზარალებულ პირთა გაერთიანებების როლი. ამ პირებს ეთხოვებათ მათ გეოგრაფიულ ზონებში განახორციელონ ვიზიტების საიტებზე წელილწადში ერთხელ ან ორჯერ.** საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს

ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. ვიზიტის მონაწილეები აწვდიან ანგარიშს მთელს ქსს-ს საიონფორმაციო ბიულეტინის ან ოქმის მეშვეობით.

შენიშვნა: არ არის დასაშვები მოულოდნელი ვიზიტები. სავალდებულოა პროტოკოლის დაცვა (შესაბამისი თანამდებობის პირებისათვის წინასწარ შეტყობინების გაგზავნა, წარდგინების ან ნებართვის წერილის მიღება)

დანართი 2

საზედამხედველო საველე ვიზიტის კითხვარი
ვიზიტის მონაწილეთა სახელი, გვარი:
ვიზიტის თარიღი:

A. შინაარსბრივი ინფორმაცია	
ორგანიზაციის დასახელება, სადაც ხორციელდება ვიზიტი	
როლო გრანტის განხორციელებაში (მაგ. ძირითადი მიმღები, ქვე-კონტრაქტორი, ქვე-ქვე-კონტრაქტრი, სერვისის მიმწოდებელი საიტი ან ტრენინგი	
გრანტის დეტალები (როუნდი ან სახეობა, დაავადება	
შესაბამისი გრანტის ძირითადი მიმღები	
გრანტის დაწყების თარიღი, ვიზიტორის აქტივობების დაწყების თარიღი თითოეული გრანტისათვის	
გლობალური ფონდის ბიუჯეტი თითოეული გრანტისათვის	

B. ვიზიტის კითხვები

B. ვიზიტის კითხვები	
თუ განუხორციელებია ძირითადი მიმღებს ვიზიტი თქვენთან?	
როდის გააგზავნეთ ბოლო ანგარიში ძირითად მიმღებთან	
ფინანსები	
თუ მიიღეთ ბოლო გადარიცხვა? თუ ასეა როდის და რამდენი?	
ისევ გაქვთ თანხა ანგარიშზე?	
თუ შეიძლება ერთობლივად გადავხედოთ ქვე და ქვე-ქვე-კონტრაქტორების გადარიცხვის გეგმას?	
შესყიდვები & მარაგების მართვა	
როდის მიიღეთ ბოლოს მედიკამენტები და მასალები?	
როდის შეუკვეთეთ ბოლოს მედიკამენტები და მასალები?	
თუ არის დღეისათვის ამოწურული მარაგები?	
გააგზავნეთ მედიკამენტები ან მასალა ქვე-კონტრაქტორებთან ან ქვე-ქვე-კონტრაქტორებთან?	

B. ვიზიტის კითხვები	
მენეჯმენტი	
თუ მიიღეთ ქვე-კონტრაქტორის ანგარიშები დროულად? თუ შეიძლება ერთობლივად გადავხედოთ ქვე-კონტრაქტორების აქტივობებს მათი სამუშაო გეგმის მხედვით?	
თუ აიყვანეთ თანამშრომლები პროექტის გეგმის მიხედვით?	
თუ არსებობს გლობალური ფონდის სხვა აქტივობებთან ჰარმონიზაციის მტკიცებულება?	
შესრულებული საქმიანობა და შედეგები	
თუ მიაღწიეთ მოსალოდნელ შედეგებს?	

C. ვიზიტის დაკვირვებები	
წამყვანი შტატი	
ფული	
მარაგები და წამლები	
მოწყობილობები	
დღევანდელი მდგომარეობით საიტის ხელმისაწვდომობა	
მიმწოდებელსა და კლიენტს შორის თვალსაჩინო ურთიერთქმედება	
შტატიდან და კლიენტისგან მიღებული უკუკავშირი	

უკუკავშირი კლიენტებისგან და რისკის ქვეშ მყოფი პირებისგან	
უკუკავშირი თემისგან, ლიდერებისგან და სხვა დაინტერესებული მხარეებისგან	
საერთო შთაბეჭდიელბა და საკითხები, რომლებიც საჭიროებს რეაგირებას ქსს-ს მრიდან	